საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5114/01
05/06/2020

5114-01-2-202006051435

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

თქვენი 2020 წლის 20 მაისის N7523 წერილით სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კმ-ზე, არსებული მეწყრული უბნის ასაქცევი გვირაბის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს, გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის თანახმად და ელექტრონული გადამოწმების შედეგად ირკვევა, რომ **საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციით დაცულ ტერიტორიებზე, კერძოდ, ჩრდილოეთ პორტალი მდებარეობს თუშეთის ნაკრძალის საზღვრებში, სამხრეთ პორტალი - თუშეთის ეროვნული პარკის საზღვრებში, ხოლო საპროექტო გვირაბის ძირითადი ნაწილი განთავსდება თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე**. აღნიშნული ტერიტორიები ემთხვევა ასევე ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს ,,თუშეთი GE0000008". სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გვირაბის მშენებლობით და მისი პორტალების დამუშავების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა დაგეგმილია სოფ. შტოლთასკენ მიმავალი საავტომობილო გზის მიმდებარედ დაახლოებით 2 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე. როგორც სკოპინგის ანგარიშით დგინდება, აღნიშნული ტერიტორიაც მდებარეობს თუშეთის დაცულ ლანდშაფტში. სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გვირაბის მშენებლობისა და სანაყაროს მოწყობის შედეგად დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია ამავდროულად წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ფონდს, შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში საჭიროა წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ტყის ფონდზე ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

გაცნობებთ, რომ სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე